ბგერები წრეში

მოსწავლეები მასწავლებლის მიერ ნაკარნახევ წინადადებას შლიან სიტყვებად, სიტყვებს კი – ბგერებად.

კლასი: I

მუშაობის ფორმა: მთელი კლასი

რესურსი: სპეციალური რესურსი საჭირო არ არის.

მსვლელობა

- მასწავლებელი მოსწავლეებს დასხამს წრედ, შემდეგ კარნახობს რაიმე წინადადებას. სასურველია, წინადადებისა და სიტყვების სიგრძე არ იყოს ძალიან მოკლე ან ძალიან გრძელი. შეიძლება, წინადადება იყოს სასაცილო, სულელური (მაგ., კოღომ სპილო ჩაყლაპა.).
- ბავშვები პირველ ეტაპზე წინადადებას დაშლიან სიტყვებად. მასწავლებელი მარტივ შეკითხვებს უსვამს ბავშვებს (მაგ., რომელია ამ წინადადებაში მესამე სიტყვა? რა დაგვრჩება, მეორე სიტყვა რომ ამოვიღოთ? და სხვ.).
- ამის მერე მოსწავლეებმა მთელი წინადადება ბგერა-ბგერა უნდა წარმოთქვან. ეს ზოგჯერ შეიძლება ერთობლივად გააკეთოს ყველა ბავშვმა, ზოგჯერ კი - რიგითობის მონაცვლეობით, მასწავლებლის მითითებისამებრ. თამაშის გასამრავალფეროვნებლად, იმ მოსწავლეებს, რომელთაც შეხვდებათ სიტყვების პირველი და ბოლო ბგერები, შეიძლება დაევალოთ ფეხზე ადგომა/ტაშის შემოკვრა.